ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N71/ბ

ქ. მცხეთა 23 ივნისი 2016 წელი

ერთი მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორე მხრივ, შპს **„ბაო“** შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის ნინო დევდარიანის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიულ ერთეულებში უპატრონო ძაღლების თავშესაფარის მომსახურება (ერთი ძაღლის დაჭერის და თავშესაფარში გადაყვანის ღირებულებაა- 40 ლარი)(CPV98380000).

2. მომსახურების მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების მიწოდების ვადაა 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 4000 (ოთხიათასი) ლარი.

3 . ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარულ დღეში.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას;
4.1.1 გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
4.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 მომსახურების არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლები შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2017 წლის 20 თებერვლის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„მოწოდებელი"

შპს „ბაო"
ს/კ 412714709
ბანკი: „ვითიბი ბანკი "

ბანკის კოდი: UGEBGE22
ა/ა GE84VT9800000002413608
მის: ქუთაისი,ნიკეას 64 ა/22
ტელ: 551 321 844

ხელმძღვანელი

ნ. დევდარიანი

„შემსყიდველი"

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ს/კ 236098824
ბანკი: „სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22
ა/N GE24NB0330100200165022
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. N7

მუნიციპალიტეტის გამგებელი

ზ. აბესაძე

შპს ბაო 412714709

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს ბაო (412714709) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო დევდარიანის (პ.ნ 60002003201) სახით წინამდებარე მინდობილობით ვანიჭებ უფლებამოსილებას მოქალაქე პაატა ბოკუჩავას პირადი №60001048683 მასზედ, რომ აწარმოოს ხელმოწერა შემსყიდველთან (მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან) გაფორმებული #71გ (23.06.2016წ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებული სამუშაოს მიღება -ჩაბარების აქტზე

მინდობილობა ეძლევა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში წარსადგენად

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია 2016 წლის 7 მაისს და ძალაშია 2016 წლის 31 დეკემბრამდე

ნინო დევდარიანი

მინდობილი პირი პაატა ბოკუჩავა